

მართლმადიდებლური ეკლესიოლოგია მართვის სინოდალური წესის
შესახებ

(კანონიკურ-ისტორიული ანალიზი)

ბექა ქუთელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვლადიმერ ნარსია, თეოლოგიისა და კანონიკური
სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარმოდგენილი სამაგისტროს ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნაშუქვეარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ბექა ქუთელია

25.06.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მართლმადიდებლური ეკლესიის ადმინისტრირების უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც კანონიკურ სამართალში კრებითი ანუ სინოდალური მართვის სახელით არის ცნობილი. გაანალიზებულია ახალი აღთქმის ის წიგნები, რომელშიც იძებნება პასუხები სინოდალობის და კრებითობის პრინციპთან მიმართებაში. აგრეთვე, შესწავლილია პირველ ათასწლეულში ჩატარებული მსოფლიო კრებები მათი მართვის წესებისა და გადაწყვეტილებათა მიღების კუთხით, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მართლმადიდებლური ეკლესიის ფუნქციონირებაზე, როგორც პირველ ათასწლეულში ასევე შემდგომ საუკუნეებში. ნაშრომის მესამე თავში წარმოდგენილია თანამედროვე მართლმადიდებლური ეკლესიების მართვა–გამგეობების დებულებათა ანალიზი, რომელიც სინოდალურ პრინციპზეა აგებული და მითითებულია მათ შორის მსგავსება-განსხვავებები და ზოგიერთი თავისებურებები იმის საჩვენებლად თუ როგორ ფუნქციონირებს სხვადასხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებში კრებითობის წესი. ბოლოს კი, განხილულია “2016 წლის წმინდა და დიდი კრების“ მოწვევისა და განხორციელების არსებითი პრინციპები სინოდალურობის წესთან მიმართებით.

ნაშრომში მსოფლიო კრებების და პატრისტიკული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ხაზგასმულია მართლმადიდებლური კანონიკური სამართლის პრინციპი კრებითობისა და სინოდალური მმართველობის სჭიროების შესახებ, როგორც ეკლესიის არსებობისა და ფუნქციონირების სამოციქულო ტრადიციაზე. თუმცა, ამასთან ერთად მითითებულია სახიფათო ტენდენციებზეც სინოდალურობის შესუსტების კუთხით, რომელიც “2016 წლის წმინდა და დიდი კრების“ გარშემო განვითარებული მოვლევებით არის ახსნილი, რამდენიმე ეკლესიის მაგალითზე.

რომ შევაჯამოთ, ნაშრომში წარმოდგენილი კანონიკური, ისტორიული და ეკლესიოლოგიური ფაქტების ანალიზი, მოხმობილია იმის საილუსტრაციოდ, რომ სინოდალურობა ეკლესიის მმართველობის ერთადერთი სწორი ფორმაა და იგი საყოველთაო დონეზე უნდა იქნას დაცული მსოფლიო მართლმადიდებლურ ეკლესიათა ოჯახში. ამ საშუალებით ეკლესია არა მხოლოდ დაძლევს მის წინაშე არსებულ პრობლემებს, არამედ დასახავს გზას მომავალი განვითარების და გაძლიერებისაკენ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სინოდი, კრება, ეკლესია, მართლმადიდებლობა, კანონიკური სამართალი.

Abstract

In the present work there is a crucial principle of the Orthodox Church administration order which is thoroughly examined. This principle is known as a collegiality or synodality principle in the orthodox canon law. Here are passages from the New Testament books where the answers could be found towards the church governing rule of synodality. Beside that, the analysis of the given topic is presented on the example of holy church councils convened during the first millennium, which has been influencing over the church administration rule until now.

In the third chapter, the regulation decrees, which govern the modern orthodox churches, are also analyzed on the basis of synodical principles. Here is pointed out similarities and differences among the various church decrees in order to illustrate how the collegiality principle is working in the different circumstances and the traditions in the Church history. Finally, the principle of synodality is explored in relation to Crete 2016 “Holy and Great Council of the Orthodox Church.”

In this work the principle of collegiality is sharply highlighted as a solely and truly principle of Church government in the Orthodox tradition. However, along with that, here is also emphasis the threat of the modern tendency in the world orthodoxy, which weakens the synodality principles on the example of Crete 2016 “Holy and Great Council of the Orthodox Church.”

To sum up, the canonical, historical and ecclesiological analysis of the given survey has been taken in order to illustrate that synodality is a solely right form of the Church governing rule approved by the Orthodox tradition, which has been kept unchangeable by the world orthodox church families hitherto. Through this principle the Church not only overcomes the problems she is facing in the history, but also, this is a way of the development and enforcement in her future.

Key words: synodality, council, church, orthodoxy, canon law.